საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
733 დადგენილებით
მოდიფიცირებულა
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2022 წლის 4 აგვისტოს
№01-05-04/110 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ევროპისმცოდნეობა
European Studies

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ემზარ ფაჟავა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ევროპისმცოდნეობის მაგისტრი Master of European Studies *მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე https://gtu.ge/Study-Dep/News/?ELEMENT_ID=17527 გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ევროპისმცოდნეობა“ შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით ((ECTS)) და მოიცავს 120 კრედიტს. 1 კრედიტი შეადგენს 25

საათს, რომელშიც იგულისხმება მაგისტრანტისათვის განკუთვნილი როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელი).
პროგრამა შედგება სავალდებულო სასწავლო კურსების, არჩევითი სასწავლო კურსების, პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტისაგან.
თითოეულ სემესტრში თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.
სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, თითოეულის შესწავლა შესაძლოა პროგრამის კურიკულუმის სხვა სასწავლო კურს(ებ)ის შესწავლის წინაპირობა იყოს.
პირველი სემესტრი მოიცავს 5-კრედიტიან 4 სასწავლო კურსს, 6 - კრედიტიან 1 სასწავლო კურსს და 4 - კრედიტიან 1 სასწავლო კურსს.
მეორე სემესტრი მოიცავს 5 - კრედიტიან 4 სასწავლო კურსს, 4 - კრედიტიან 1 სასწავლო კურსს და 6 - კრედიტიან 1 სასწავლო კურსს.
მესამე სემესტრი მოიცავს 5 - კრედიტიან 4 სასწავლო კურსს. ამავე სემესტრში სტუდენტი ასრულებს თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოკვიუმს და სამაგისტრო პრაქტიკას.
მეოთხე სემესტრი მთლიანად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, დასრულებას და დაცვას.
სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ გვერდზე http://gtu.ge/Orders სადაც არის დეტალური ინფორმაცია სემესტრის მიმდინარეობის, მინიმალური ზღვარისა და ვადების შესახებ.
კვლევითი კომპონენტების ელემენტები:
პროგრამით გათვალისწინებულ კვლევით კომპონენტებში შედის: **თეორიულ-ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოკვიუმი,** რომელიც მზადდება მესამე სემესტრში, **სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა ხდება მეოთხე სემესტრში.** კვლევითი კომპონენტების შესრულების რიგითობის დაცვა არის სავალდებულო და თითოეული კომპონენტის შესრულება წარმოადგენს რიგით შემდგომი კვლევითი კომპონენტის წინაპირობას.
კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ: https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია. https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_3_2021.pdf

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ევროპის ქვეყნების მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესში განსხვავებული დისციპლინური მეთოდოლოგიების, ინტეგრაციის თეორიის, ევროპის პოლიტიკისა და ინსტიტუტების გადაწყვეტილებების შემუშავების, ეროვნული და რეგიონული მიდგომების სფეროს ღრმა თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე კონკურენტუნარუანი მაგისტრის მომზადება, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს ინტერდისციპლინარულ გარემოში მუშაობას. მაგისტრანტებს შეასწავლოს ევროინტეგრაციის მიზეზები და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, ინტეგრაციის წინაპირობები. შეუქმნას მათ ცოდნის მარაგი საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების ისტორიულ ეტაპებზე.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

- აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ევროინტეგრაციის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ძირითადი მიმართულებების შესახებ, ევროპის რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ინტეგრაციის ძირითად მიდგომებზე, ევროპის რეგიონალური პოლიტიკის პრიორიტეტებზე;
- აქვს სისტემური ცოდნა ევროპული პოლიტიკური წესრიგის ძირითადი მიმართულებების შესახებ, ევროკავშირის თანამედროვე დიპლომატიური საქმიანობის შესახებ და აცნობიერებს ევროკავშირის დიპლომატიის თანამედროვე პერსპექტივებს;

- აქვს სისტემური ცოდნა საქართველოს ევროპული იდენტობის საფუძვლებზე და აცნობიერებს მის ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებს;
- აქვს სისტემური ცოდნა გლობალიზაცის ტენდენციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თეორიებზე. აცნობიერებს გლობალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს;
- **განიხილავს** ინტერდისციპლინური მიდგომების მნიშვნელობას თანამედროვე კვლევის პროცესებში.
- ინტერდისციპლინურ და მულტიდისციპლინურ გარემოში ორიგინალური გზების ძიებით კრიტიკულად **აფასებს** პრობლემებს და **გეგმავს** სათანადო გადაჭრის მეთოდებს კვლევის შემდგომი განვითარების მიზნით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია ევროკავშირის განვითარების, გაფართოების შედეგების და პერსპექტივების შესახებ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია ევროპული ინტეგრაციის შესახებ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია ევროკავშირის ძირითადი წამყვანი სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის შესახებ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
- შეუძლია კვლევის გდამოუკიდებლად განხორციელება რეგიონალური პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ასპექტების ადაპტირებას თანამედროვე ევროპაში. ახდენს რეგიონალიზმის მსოფლიო განვითარების ტენდენციების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიებას;

დასკვნის უნარი:

- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით სიღრმისეულად შეუძლია ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის შესახებ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- აკეთებს დასაბუთებულ დასკვნას ევროპის რეგიონული პოლიტიკის ძირითად საკითხებზე. შეუძლია რეგიონალიზმისა და ინტეგრაციისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი;
- კვლევის საფუძველზე შეუძლია ევროკავშირის როლის განსაზღვრა თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. კრიტიკულად აანალიზებს გლობალიზებულ სამყაროში ევროკავშირის როლსა და ადგილს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- ახდენს რთული და არასრული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს გლობალიზაციის საკითხებზე. და ყოველივე ამის გათვალისწინებით შეუძლია დამოუკიდებელი, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით სიღრმისეულად **აყალიბებს** დასაბუთებულ დასკვნებს.

კომუნიკაციის უნარი:

- საკუთარი კვლევების საფუძველზე შეუძლია ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების წარადგენა აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- შეუძლია ჩაერთოს ევროპული რეგიონალური პოლიტიკის საკითხებზე დისკუსიაში აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- თავისუფლად შეუძლია თანამედროვე გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით დამოუკიდებლი დასკვნების ჩამოყალიბება და პროფესიული საზოგადოებისთვის წარდგენა ქართულ და უცხოურ ენებზე.
- შეუძლია რეგიონალიზმის თანამედროვე პროცესებთან დაკავშირებით დისკუსიაში ჩართვა და კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან;

სწავლის უნარი

- თანმიმდევრულად და დამოუკიდებლად სწავლობს ევროკავშირის ინტეგრაციისა და გაფართოების პერსპექტივებს. საკუთარი მისწრაფებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით,

ევროკავშირის შესახებ შეძენილი ცოდნის ბაზაზე მაღალ დონეზე გეგმავს შემდგომი სწავლის სტრატეგიას;

- შეუძლია ევროპის რეგიონალური პოლიტიკის შესახებ სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალი დონეზე დაგეგმვა;
- შეუძლია გლობალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით დამოუკიდებლად წარმართავს სწავლას თანამედროვე რეგიონალურ საკითხებზე;
- ახდენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და ევროკავშირის დიპლომატიისა და პროცესების პრაქტიკის დამოუკიდებლად წარმართვას;

ღირებულებები:

- აფასებს ევროკავშირის ქვეყნების წარმატებულ ლიბერალურ ფასეულობებს და ისწრაფვის ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.
- აფასებს ევროპულ ღირებულებებს და თავისი წვლილის შეაქვს მათ დამკვიდრებაში.
- აფასებს ევროპის ქვეყნების ისტორიულ და კულტურულ როლს, თანამედროვე მსოფლიოს თანამეგობრობაში; ერთგულია ისეთი ჰუმანური ღირებულებებისადმი, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, სიკეთისაკენ სწრაფვა, ტოლერანტობა, დემოკრატიისა და დემოკრატიული ცნობიერებისათვის ხელშეწყობა;
- ევროინტეგრაციული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
- მონაწილეობას იღებს და ისწრაფვის საკუთარი წვლილი შეიტანოს ევროპული ღირებულებების დასამკვიდრებლად საქართველოში.
- მაღალ დონეზე იცავს კონფიდენციალურობას და ეთიკის ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა

☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ სამაგისტრო ნაშრომი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი

მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლებსწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები;
ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
შემთხვევების შესწავლა (Case study);
გონებრივი იერიში (Brain storming);
ინდუქციური;
დედუქციური;
ანალიზის;
სინთეზის;
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
წერითი მუშაობის;
ახსნა-განმარტებითი;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX- ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დეტალური ინფორმაცია მოცემულია: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“
https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

დასაქმების სფერო

საჯარო დაწესებულებებში; არასამთავრობო სფეროში; საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში; დიპლომატიური სამსახური; სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური დაწესებულებები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 22

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**					
1.1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	არ აქვს	**5**			
1.2	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)					
1.3	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)					

1.4	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)					
2	ევროინტეგრაციის თეორია და მეთოდოლოგია	არ აქვს	**6**			
3	ევროპული რეგიონალიზმის თეორია და მეთოდოლოგია	არ აქვს	**5**			
4	გლობალიზაცია და პატარა ქვეყანა	არ აქვს	**4**			
5	გლობალური მმართველობა	არ აქვს	**5**			
6	ევროპის რეგიონული პოლიტიკა და ადგილობრივი განვითარება	არ აქვს	**5**			
7	**უცხოური ენა არჩევით (ერთ-ერთი ენა)**					
7.1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს		**5**		
7.2	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)					
7.3	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)					
7.4	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
8	ეკონომიკური დიპლომატია	არ აქვს		**4**		
9	ევროინტეგრაციის პოლიტიკური თეორიები და პრაქტიკა	არ აქვს		**6**		
10	ევროკავშირი გლობალურ ეკონომიკაში	ევროპის რეგიონული პოლიტიკა და ადგილობრივი განვითარება		**5**		
11	ქართულ-ევროპული იდენტობის კვლევა	არ აქვს		**5**		
12	ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები			**5**		
13	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	არ აქვს			5	
14	ევროკავშირის დიპლომატია და პრაქტიკა	ეკონომიკური დიპლომატია			5	
15	ევროპული პოლიტიკური წესრიგი	არ აქვს			5	
16	სამაგისტრო პრაქტიკა	I,II სემესტრში გავლილი ყველაძირითადი სასწავლო კურსი.			5	
		სემესტრში	**30**	**30**	20	
		სულ:	80			
	კვლევითი კომპონენტი:	I,II სემესტრში გავლილი ყველა ძირითადი სასწავლო კურსი.	-		40	

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	დირებულებები
1.1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	+	+		+	+	+
1.2	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	+	+		+	+	+
1.3	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	+	+		+	+	+
1.4	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	+	+		+	+	+
2	ევროინტეგრაციის თეორია და მეთოდოლოგია	+	+	+		+	+
3	ევროპული რეგიონალიზმის თეორია და მეთოდოლოგია	+	+	+	+	+	
4	გლობალიზაცია და პატარა ქვეყანა	+	+	+	+	+	+
5	გლობალური მმართველობა	+	+	+	+	+	
6	ევროპის რეგიონული პოლიტიკა და ადგილობრივი განვითარება	+	+	+	+	+	
7.1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	+	+		+	+	
7.2	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული),	+	+		+	+	
7.3	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	+	+		+	+	
7.4	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	+	+		+	+	
8	ეკონომიკური დიპლომატია	+	+	+	+	+	
9	ევროინტეგრაციის პოლიტიკური თეორიები და პრაქტიკა	+	+	+		+	+
10	ევროკავშირი გლობალურ ეკონომიკაში	+	+	+	+	+	+
11	ქართულ-ევროპული იდენტობის კვლევა	+	+	+	+	+	+
12	ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები	+	+	+			+
13	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	+	+	+	+	+	
14	ევროკავშირის დიპლომატია და პრაქტიკა	+	+	+		+	
15	ევროპული პოლიტიკური წესრიგი	+	+	+		+	+
16	სამაგისტრო პრაქტიკა	+	+	+	+	+	+
	კვლევითი კომპონენტი	+	+	+	+	+	+

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	კრედიტი	საათი

				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.1	LEH12412G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	5/125			45				2	2	76
1.2	LEH12612G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	5/125			45				2	2	76
1.3	LEH12212G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	5/125			45				2	2	76
1.4	LEH12812G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	5/125			45				2	2	76
2	SOS61612G1-LS	ევროინტეგრაციის თეორია და მეთოდოლოგია	6/150	30	30					2	2	86
3	SOS62012G1-LS	ევროპული რეგიონალიზმის თეორია და მეთოდოლოგია	5/125	15	30					2	2	76
4	SOS61412G1-LS	გლობალიზაცია და პატარა ქვეყანა	4/100	15	15					1	1	68
5	SOS61112G1-LS	გლობალური მმართველობა	5/125	15	30					2	2	76
6	SOS61212G1-LS	ევროპის რეგიონული პოლიტიკა და ადგილობრივი განვითარება	5/125	15	30					2	2	76
7.1	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
7.2	LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული),	5/125	15		30				2	2	76
7.3	LEH12312G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30				2	2	76
7.4	LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15		30				2	2	76
8	SOS61912G1-LS	ეკონომიკური დიპლომატია	4/100	15	15					1	1	68
9	SOS61712G1-LS	ევროინტეგრაციის პოლიტიკური თეორიები და პრაქტიკა	6/150	30	30					2	2	86
10	SOS55912G1-LS	ევროკავშირი გლობალურ ეკონომიკაში	5/125	30	15					2	2	76
11	SOS61012G1-LS	ქართულ-ევროპული იდენტობის კვლევა	5/125	15	30					2	2	76
12	SOS22912G3-LS	ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები	5/125	15	30					2	2	76
13	SOS62112G1-LS	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	5/125	15	30					2	2	76
14	SOS61812G1-LS	ევროკავშირის დიპლომატია და პრაქტიკა	5/125	15	30					2	2	76
15	SOS61512G1-LS	ევროპული პოლიტიკური წესრიგი	5/125	15	30					2	2	76
16	SOS72712G1-K	სამაგისტრო პრაქტიკა	5/125					45			2	78

პროგრამის ხელმძღვანელი ემზარ ფაჟავა

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
4 ივლისი 2012 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
2 აგვისტო, 2022 წ.
ოქმი №74

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი